

საკრებულოების 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი

<p>არჩევნების დანიშვნის დღიდან (50-ე დღიდან)</p>	<p style="text-align: center;">11 სექტემბერი პარასკევი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. იწყება წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) <i>(45-ე მუხლის პირველი პუნქტი)</i> 2. არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდეგში - საარჩევნო კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინება <i>(50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)</i> 3. არჩევნების გამოსცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ქალაქ თბილისის, ქალაქ თელავის, თეთრიწყაროს, ონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან, ვალდებული არიან, დაიცვან საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები <i>(50-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</i> 4. არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით <i>(192-ე მუხლის პირველი პუნქტი)</i> 5. ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია დაიცვას საარჩევნო კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, უფასო სარეკლამო დროის გამოყოფის თაობაზე <i>(185-ე მუხლის მე-5 და მე-16 პუნქტები)</i>
<p>არაუგვიანეს 49-ე დღისა</p>	<p style="text-align: center;">12 სექტემბერი შაბათი</p>	<p>მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №4 კრწანისის საარჩევნო ოლქის №4.07, №17 თელავის საარჩევნო ოლქის №17.07 კისისხევის თემის, №26 თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქის №26.02 მანგლისის დაბისა და №43 ონის საარჩევნო ოლქის №43.16 ცხმორის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გასამართი ქალაქ თბილისის, თელავის, თეთრიწყაროსა და ონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2020 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნების (შემდეგში - არჩევნები) დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (133-ე მუხლის მე-4 პუნქტი)</p>

<p>არაუგვიანეს 47-ე დღისა</p>	<p>14 სექტემბერი ორშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პარტია/საარჩევნო ბლოკი, აგრეთვე პარტია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის, განცხადებით მიმართავს ცესკოს (154-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და კომისიაში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს (142-ე მუხლის მე-7 პუნქტი) ცესკოს განცხადებით მიმართავს პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 164-ე მუხლის მე-7 პუნქტის პირობას. ასეთ პარტიას განცხადების მიღებისთანავე ცესკო გადასცემს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად (154-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი) შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართავს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, რომლის რეგისტრაცია და რომლის მიერ წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაცია ხორციელდება საარჩევნო კოდექსის 141-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით (154-ე მუხლის მე-5 პუნქტი;) <ul style="list-style-type: none"> ➤ განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს. თუ დარღვეულია საარჩევნო კოდექსის 116-ე მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხარვეზის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს. შესწორებული საბუთები არა უგვიანეს მომდევნო დღისა უბრუნდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრაციაში გასატარებლად (116-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 141-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №15/2018) საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტიები, რომელთაც სჭირდებათ საარჩევნო რეგისტრაცია საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის, მონაწილეობის თაობაზე მხოლოდ პარტიის უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით მიმართავენ ცესკოს თავმჯდომარეს. (ბოლო ვადა) (ცესკოს დადგენილება №33/2020)
<p>არაუგვიანეს 46-ე დღისა</p>	<p>15 სექტემბერი სამშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარტიის/საარჩევნო ბლოკისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს (ბოლო ვადა) (142-ე მუხლის მე-7 პუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა და მას 2 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. (142-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს. თუ დარღვეულია საარჩევნო კოდექსის 116-ე მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხარვეზის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს. შესწორებული საბუთები არა უგვიანეს მომდევნო დღისა უბრუნდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრაციაში გასატარებლად (ბოლო ვადა) (116-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 141-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №15/2018)

<p>არაუგვიანეს 45-ე დღისა</p>	<p>16 სექტემბერი ოთხშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პარტიასა და მის წარმომადგენელს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას 2 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის (ბოლო ვადა) (142-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი) 2. საინიციატივო ჯგუფის შესწორებული საბუთები უბრუნდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრაციაში გასატარებლად (ბოლო ვადა) (116-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 141-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №15/2018) 3. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა რაოდენობას იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, სადაც იმართება საკრებულოს შუალედური არჩევნები (31-ე მუხლის მე-14 პუნქტი) 4. საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, საკონტაქტო ტელეფონის ნომრებსა და სხვა რეკვიზიტებს (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №8/2019) 5. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა, აგრეთვე, უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე (45-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
<p>არაუგვიანეს 43-ე დღისა</p>	<p>18 სექტემბერი პარასკევი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარტიისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ განცხადებისა და საბუთების შესწორების ბოლო ვადა (142-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. აღნიშნული პროცედურები მთავრდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 37-ე დღისა (142-ე მუხლის მე-9 პუნქტი) 2. ცესკოს მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკი და გავიდნენ ბლოკიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება (142-ე მუხლის მე-11 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნულ განცხადებასა და წესდებას და ცესკოში განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ გაატარებს

		<p>რეგისტრაციაში საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის მე-12-მე-15 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო, თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს – წერილობით შეატყობინებს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით). შესწორებული საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა. რეგისტრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ცესკოს თავმჯდომარე იღებს შესწორებული საბუთების მიღებისთანავე. თუ შესწორებული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოსცემს განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ეს განკარგულება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს (142-ე მუხლის მე-17 პუნქტი)</p> <p>3. პარტიებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საარჩევნო ბლოკის მეშვეობით მონაწილეობის მიზნით შექმნიან საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვთ იმავე საარჩევნო ბლოკის სახელით მონაწილეობა მიიღონ საკრებულოების შუალედურ არჩევნებშიც, თუ საარჩევნო ბლოკში შემავალ ყველა პარტიას წარდგენილი აქვს განცხადება საკრებულოების შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე. აღნიშნულმა პარტიებმა, საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინონ ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება და განცხადებაში უნდა მიუთითონ, რომ სურთ ერთდროულად მონაწილეობის მიღება, აღნიშნული საარჩევნო ბლოკის სახელით საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოების შუალედურ არჩევნებში. მათ საკრებულოების შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის ცალკე განცხადების წარდგენა არ მოეთხოვება. (ბოლო ვადა) (ცესკოს დადგენილება №33/2020)</p>
<p>არაუგვიანეს 42-ე დღისა</p>	<p>19 სექტემბერი შაბათი</p>	<p>1. საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარტიისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმებისა და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტის ბოლო ვადა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა (142-ე მუხლის მე-9 პუნქტი, 154-ე მუხლის მე-5 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-7 პუნქტი)</p> <p>2. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნულ განცხადებასა და წესდებას და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ატარებს რეგისტრაციაში საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის მე-12-მე-15 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო, თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს – წერილობით შეატყობინებს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით). შესწორებული საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა. (ბოლო ვადა) (142-ე მუხლის მე-17 პუნქტი)</p>

არაუგვიანეს 41-ე დღისა	20 სექტემბერი კვირა	საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის მიერ შესწორებული საბუთების ცესკოში დაბრუნების ბოლო ვადა. თუ შესწორებული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე შესწორებული საბუთების მიღებისთანავე რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოსცემს განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ეს განკარგულება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა (142-ე მუხლის მე-17 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-40 დღისა	21 სექტემბერი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირობას, ცესკოს წარუდგენს საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი ამომრჩევლების სიას (154-ე მუხლის მე-6 პუნქტი; 164-ე მუხლის მე-8 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს მხარდამჭერთა სიას საარჩევნო კოდექსის 38-მუხლით დადგენილი წესით (142-ე მუხლის მე-2 და მე-10 პუნქტები) საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია, რომელიც მოწმდება საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი წარდგენიდან 3 დღის ვადაში (ცესკოს დადგენილება №15/2018)
არაუგვიანეს 38-ე დღისა	23 სექტემბერი ოთხშაბათი	ცესკოს სათანადო სამსახური საარჩევნო კოდექსის 38-მუხლით დადგენილი წესით ამოწმებს იმ პარტიის მხარდამჭერთა სიას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და 164-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირობას და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს (ბოლო ვადა) (142-ე მუხლის მე-2 პუნქტი)
არაუგვიანეს 37-ე დღისა	24 სექტემბერი ხუთშაბათი	<ol style="list-style-type: none"> მთავრდება საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარტიისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრირებული პარტიის/საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის პროცედურები (142-ე მუხლის მე-9 პუნქტი) ცესკოს თავმჯდომარე, სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს იმ პარტიას და მის წარმომადგენელს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პირობას, ან გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა (ბოლო ვადა) (142-ე მუხლის მე-10 პუნქტი) საოლქო საარჩევნო კომისია ამოწმებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიას (ბოლო ვადა) (ცესკოს დადგენილება №15/2018) სრულდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის პროცედურები (142-ე მუხლის მე-17 პუნქტი)
არაუგვიანეს 35-ე დღისა	26 სექტემბერი შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს, თუ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსითა და ცესკოს დადგენილებით №15/2018 განსაზღვრულ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წერილობით აცნობებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსითა და ცესკოს დადგენილებით №15/2018 განსაზღვრულ

		<p>მოთხოვნებთან საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს 2 დღე ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის (ცესკოს დადგენილება №15/2018)</p>
<p>არაუგვიანეს 33-ე დღისა</p>	<p>28 სექტემბერი ორშაბათი</p>	<p>ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ შესწორებული საბუთების შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაბრუნების ბოლო ვადა. შესწორებული მონაცემები მოწმდება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი წყდება მონაცემების წარდგენიდან 3 დღის ვადაში (ცესკოს დადგენილება №15/2018)</p>
<p>არაუგვიანეს 30-ე დღისა</p>	<p>1 ოქტომბერი ხუთშაბათი</p>	<p>1. საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია/საარჩევნო ბლოკმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (144-ე მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>➤ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის საბუთებს ამოწმებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც მისი წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 28-ე დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს კანდიდატს, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ, თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს 2 დღე ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის (145-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <p>2. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსითა და ცესკოს დადგენილებით №15/2018 განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში, იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად აღინიშნება რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). განკარგულება ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა (ბოლო ვადა) (116-ე მუხლის მე-10 პუნქტი, 141-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №15/2018)</p> <p>3. ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე, იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს (142-ე მუხლის 22-ე პუნქტი)</p> <p>4. განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი, საარჩევნო კოდექსის 38¹ მუხლით დადგენილი წესით. თუ საარჩევნო სუბიექტს შუალედური არჩევნებისათვის რიგითი ნომერი არ აქვს, მას რიგითი ნომერი წილისყრით, საარჩევნო კოდექსის 38¹ მუხლით დადგენილი წესით მიენიჭება (38¹ მუხლის პირველი და მე-10 პუნქტები)</p>
<p>არაუგვიანეს 28-ე დღისა</p>	<p>3 ოქტომბერი შაბათი</p>	<p>შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ, თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს 2 დღე ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის (ბოლო ვადა) (145-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p>

არაუგვიანეს 27-ე დღისა	4 ოქტომბერი კვირა	შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას (ბოლო ვადა) (145-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ცესკოს დადგენილება №15/2018)
არაუგვიანეს 26-ე დღისა	5 ოქტომბერი ორშაბათი	პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის მიერ საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწორების ბოლო ვადა (145-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი)
არაუგვიანეს 25-ე დღისა	6 ოქტომბერი სამშაბათი	რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატის შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცესკო (38-ე მუხლის მე-11 პუნქტი)
არაუგვიანეს 23-ე დღისა	8 ოქტომბერი ხუთშაბათი	თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატს, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში - გამოსცემს განკარგულებას კანდიდატისთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. განკარგულება პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და მოთხოვნისთანავე გადაეცეს (ბოლო ვადა) (145-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები)
არაუგვიანეს მე-20 დღისა	11 ოქტომბერი კვირა	შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრობის კანდიდატებს გადასცემს კანდიდატის მოწმობებს (ბოლო ვადა) (145-ე მუხლის მე-4 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-12 დღისა	19 ოქტომბერი ორშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. პარტიის/საარჩევნო ბლოკს/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე (146-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები) 2. საკრებულოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე (146-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები)
არაუგვიანეს მე-10 დღისა	21 ოქტომბერი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. კანდიდატის შესახებ მონაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით განსაზღვრული მისი რიგითობის შესაბამისად (147-ე მუხლის მე-3 პუნქტი) 2. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას და უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქის/ოლქების დასახელება, რომელშიც/რომლებშიც ეს ორგანიზაცია დაკვირვებას ახორციელებს. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი) 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებულია ცესკოს გადასცეს ინფორმაცია სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსებული, ახალი კორონავირუსით ინფიცირებული და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩეველების რაოდენობისა და მათი განთავსების ადგილების შესახებ. (ბოლო ვადა) (199-ე მუხლის პირველი პუნქტი)

<p>არაუგვიანეს მე-7 დღისა</p>	<p>24 ოქტომბერი შაბათი</p>	<p>რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს და უნდა წარუდგინოს მას სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი. თუ დამკვირვებელი (დამკვირვებელთა ჯგუფი) სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელია, მან მხოლოდ განცხადება უნდა წარადგინოს. ცესკო განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა, წყვეტს ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს (მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი)</p>
<p>არაუგვიანეს მე-5 დღისა</p>	<p>26 ოქტომბერი ორშაბათი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ამომრჩეველთა რაოდენობას იმ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, სადაც იმართება საკრებულოს შუალედური არჩევნები (31-ე მუხლის მე-14 პუნქტი) 2. შესაბამისი საარჩევნო კომისია წყვეტს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს (ბოლო ვადა) (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი) 3. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას. განცხადებას თან უნდა ერთოდეს წარმომადგენლების პირადობის მოწმობების ან პასპორტების ფოტოასლები. ორგანიზაციის მიმართვის შემთხვევაში განცხადებას უნდა ერთოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში (44-ე მუხლის მე-3 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს) (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი) 4. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ცესკოს მდივანს ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მის მიერ წარდგენილ სიაში შეყვანილი დამკვირვებლები აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, აგრეთვე ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია (გვარის, სახელის, რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით) და თითოეული მათგანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ იმავე ვადაში და იმავე ფორმით საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო ან/და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია და ზემოაღნიშნული დოკუმენტები (მე-40 მუხლის მე-7 პუნქტი) <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი (მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი)
<p>არაუგვიანეს მე-4 დღისა</p>	<p>27 ოქტომბერი სამშაბათი</p>	<p>ცესკო წყვეტს საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს (ბოლო ვადა) (მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი)</p>

არაუგვიანეს მე-3 დღისა	28 ოქტომბერი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი (ბოლო ვადა) (მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი) შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს (ბოლო ვადა) (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ცესკო რიცხავს საარჩევნო კოდექსის 187-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე (187-ე მუხლის მე-2 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-2 დღისა	29 ოქტომბერი ხუთშაბათი	<ol style="list-style-type: none"> შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში - გადასცემს სათანადო განკარგულებას (ბოლო ვადა) (44-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ცესკოს მიერ რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია ცესკოს მდივანს წარუდგენს დამკვირვებელთა შესახებ ინფორმაციასა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლებს (მე-40 მუხლის მე-6 პუნქტი) ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს (63-ე მუხლის მე-9 პუნქტი)
არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღისა	30 ოქტომბერი პარასკევი	აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის დანიშვნა/გამოწვევა/შეცვლა (42-ე მუხლის მე-6 პუნქტი)
არჩევნების დღე	31 ოქტომბერი შაბათი	<ol style="list-style-type: none"> კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია (45-ე მუხლის მე-11 პუნქტი) აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის დანიშვნა/გამოწვევა/შეცვლა (42-ე მუხლის მე-6 პუნქტი) აკრძალულია კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე ტელევიზიისა და რადიოს ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის, საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა, აგრეთვე საარჩევნო მიზნებისათვის ავტომატიზებული სატელეფონო ზარების განხორციელება და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა (185-ე მუხლის მე-18 პუნქტი) აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის 20 საათამდე, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი) კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია (58-ე მუხლის მე-6 პუნქტი) კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეოგადაღება ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით (მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი, ცესკოს დადგენილება №42/2012)

		<p>7. 7 საათზე იხსნება საარჩევნო უბანი და ტარდება კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები (61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)</p> <p>8. 8 საათზე იწყება კენჭისყრა კენჭისყრის შენობაში (61-ე მუხლის მე-11 პუნქტი)</p> <p>9. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი)</p> <p>10. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა (66-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <p>11. საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით კენჭისყრის დღეს მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა). შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს (31-ე მუხლის მე-12 პუნქტი)</p> <p>12. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში (65-ე მუხლის მე-6 პუნქტი)</p> <p>13. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას (65-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</p> <p>14. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუზიაროს ცესკოს (71-ე მუხლის მე-14 პუნქტი)</p> <p>15. ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსის 71-ე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ოქმის საჯაროობა, მათ შორის, მისი დაუყოვნებლივ ცესკოს ვებგვერდზე განთავსებით (76-ე მუხლის მე-8 პუნქტი)</p> <p>16. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე (76-ე მუხლის მე-4 პუნქტი)</p>
არაუგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა	1 ნომბერი კვირა	საუბნო საარჩევნო კომისია, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველების არსებობისას (26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი)
კენჭისყრის დღის მომდევნო დღიდან	1 ნომბერი კვირა	საოლქო საარჩევნო კომისია გასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (71-ე მუხლის მე-9 პუნქტი)

არაუგვიანეს მე-8 დღისა	8 ნომბერი კვირა	ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, მიიღებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ხმების საჭირო რაოდენობას, – კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-8 დღისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით წარადგენენ ინფორმაციას საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი ფინანსების შესახებ. (192-ე მუხლის მე-5 პუნქტი)
არაუგვიანეს მე-11 დღისა	11 ნომბერი ოთხშაბათი	<p>საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, აჯამებს საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგებს, ადგენს საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგებს და საარჩევნო ოლქში გამართული შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომლებსაც არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის პირველი პუნქტი)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი შედეგების შეჯამებისთანავე, დაუყოვნებლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის (150-ე მუხლის მე-7 პუნქტი) ➤ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს წევრად არჩეულ პირს და გადასცემს მას შესაბამის მოწმობას (153-ე მუხლი) ➤ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2² პუნქტითა და 67-ე მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტოასლები) ერთად გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-10 პუნქტი) ➤ საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი, შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში, გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მას და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ცესკოს (75-ე მუხლის მე-11 პუნქტი) ➤ არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ (150-ე მუხლის მე-8 პუნქტი) ➤ დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს ცესკოს წერილობითი ინფორმაცია წარმომადგენლების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების შესახებ. თუ დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტი არ დანიშნავს წარმომადგენელს საარჩევნო კომისიაში ან/და არ მოხდება თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება (187-ე მუხლის მე-3 პუნქტი) ➤ საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (46-ე მუხლის მე-8 პუნქტი) ➤ არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი)
არაუგვიანეს მე-12 დღისა	12 ნომბერი	საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ცესკოსთვის გადაცემის ბოლო ვადა (75-ე მუხლის პირველი პუნქტი)

	ხუთშაბათი	
არაუგვიანეს მე-14 დღისა	14 ნოემბერი შაბათი	განმეორებითი ან ხელახალი კენჭისყრის გამართვის ბოლო ვადა (152-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები)
არაუგვიანეს მე-16 დღისა	16 ნოემბერი ორშაბათი	შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს წევრად არჩეულ პირს და გადასცემს მას შესაბამის მოწმობას (ბოლო ვადა) (153-ე მუხლი)
არაუგვიანეს მე-18 დღისა	18 ნოემბერი ოთხშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გახსნის საუბნო საარჩევნო კომისიების დალუქულ ჩანაწერთა წიგნებს, გადაიღებს წიგნების იმ გვერდების ასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2² პუნქტითა და 67-ე მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები (ამის შემდეგ ჩანაწერთა წიგნი ისევ უნდა დაილუქოს), თავისი ხელმოწერით დაამოწმებს ჩანაწერებს და შესაბამის დალუქულ დოკუმენტებთან (პირადობის მოწმობები/პასპორტების ფოტო-ასლები) ერთად გადასცემს ცესკოს (ბოლო ვადა) (75-ე მუხლის მე-10 პუნქტი) 2. საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას, საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გადაიღებს ჩანაწერთა წიგნების იმ გვერდების ფოტოასლებს, რომლებზედაც შესრულებულია საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერები, ხელმოწერითა და კომისიის ბეჭდით დაამოწმებს მას და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს ცესკოს (ბოლო ვადა) (75-ე მუხლის მე-11 პუნქტი)
არაუგვიანეს 21-ე დღისა	21 ნოემბერი შაბათი	საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგების შესახებ (ბოლო ვადა) (150-ე მუხლის მე-8 პუნქტი)
არაუგვიანეს 26-ე დღისა	26 ნოემბერი ხუთშაბათი	<ol style="list-style-type: none"> 1. დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს ცესკოს წერილობითი ინფორმაცია წარმომადგენლების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების შესახებ. თუ დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტი არ დანიშნავს წარმომადგენელს საარჩევნო კომისიაში ან/და არ მოხდება თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება (187-ე მუხლის მე-3 პუნქტი) 2. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა (ბოლო ვადა) (46-ე მუხლის მე-8 პუნქტი)
არაუგვიანეს 71-ე დღისა	10 იანვარი კვირა	ცესკო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს (ბოლო ვადა) (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "კ" ქვეპუნქტი)